



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

საქმე №2ბ/876-11

10 ივნისი 2011 წელი
ქ. თბილისი

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა პალატა**

მოსამართლე – გოდერძი გიორგიშვილი

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი განხილვის გარეშე

აპელანტი – მაია ისმაილოვი (მოსარჩელე)

წარმომადგენელი – თამარ მეტრეველი

მოწინააღმდეგე მხარეები – ნოტარიუსი თამარ ფიცხელაური, ნოტარიუსი ციალა კაციაშვილი, გულიზარი მგოიანი, ვაზირა ისმაილოვი, ანჟელა ისმაილოვი (მოპასუხეები)

დავის საგანი – სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების ბათილად ცნობა, სამკვიდრო მოწმობის გაცემის დავალებულება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თელავის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე №2ბ/876-11 აპელანტი – მაია ისმაილოვი, მოწინააღმდეგე მხარეები – ნოტარიუსი თამარ ფიცხელაური, ნოტარიუსი ციალა კაციაშვილი, გულიზარი მგოიანი, ვაზირა ისმაილოვი, ანჟელა ისმაილოვი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

მაია ისმაილოვის წარმომადგენლის თამარ მეტრეველის მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარში და საქმის მასალებში მოწინააღმდეგე მხარის – გულიზარი მგოიანის საცხოვრებელ მისამართად მითითებულია ქ. თბილისი, ვარკეთილი 3 მკ.რ, კორპუსი 415, ბინა 36.

აღნიშნულ მისამართებზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაგზავნილი სასამართლო უწყება და გზავნილი არ ჩაბარდა მოწინააღმდეგე მხარე – გულიზარი მგოიანს. სასამართლოში დაბრუნებულ გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათებზე ჩაუბარებლობის მიზეზად აღნიშნულია, რომ აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს თეთრაძე.

მაია ისმაილოვის წარმომადგენლის თამარ მეტრეველის მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარში და საქმის მასალებში მოწინააღმდეგე მხარის – ანჟელა ისმაილოვის საცხოვრებელ მისამართად მითითებულია ქ. თბილისი, გლდანი, 3 მკ.რ, 69 კორპუსი, ბინა 6.

აღნიშნულ მისამართებზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაგზავნილი სასამართლო უწყება და გზავნილი არ ჩაბარდა მოწინააღმდეგე მხარე – ანჟელა ისმაილოვს. სასამართლოში დაბრუნებულ გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათებზე ჩაუბარებლობის მიზეზად აღნიშნულია, რომ აღნიშნულ მისამართზე დატოვებულ იქნა შეტყობინება, მაგრამ არავინ არ გამოეხმაურა.

სააპელაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, იმსჯელა საქმის სრულყოფილად, კანონმდებლობით დადგენილ უმოკლეს ვადაში განხილვისა და გაჭიანურების თავიდან აცილების გარემოებებზე, გაითვალისწინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლით განსაზღვრული დანაწესი და მიიჩნია, რომ მართლზომიერია განსახილველ საქმეში მოწინააღმდეგე მხარეებად მითითებულ გულიზარი მგოიანს და ანჟელა ისმაილოვს შეტყობინება სასამართლოს სხდომის

გამართვის თარიღის (2011 წლის 6 ივლისი 14:00 საათზე) შესახებ ჩაბარდეს საჯარო შეტყობინების საშუალებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე, 284-ე, 285-ე და 390-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სასამართლოს სხდომაზე მოწვევა განხორციელდეს საჯარო შეტყობინების ფორმით;
2. სასამართლოს მთავარი სხდომა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში დანიშნულია 2011 წლის 6 ივლისს 14:00 საათზე, რომელიც გაიმართება თბილისის სააპელაციო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი გრ. რობაქიძის გამზ. №7^ა);
4. 2011 წლის 6 ივლისს 14:00 საათზე დანიშნულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოწვეულ იქნენ განსახილველ საქმეში მოწინააღმდეგე მხარეებად მითითებული გულიზარი მგოიანი და ანჟელა ისმაილოვი;
5. სხდომაზე დასაბარებელი პირები გაფრთხილებულ იქნენ, რომ არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მათ წინააღმდეგ;
6. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

მოსამართლე

გ. გიორგიშვილი